

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 11

16 აგვისტო 2016 წელი

ქ. ბათუმი  
11<sup>00</sup> საათი.

**სხდომას თავმჯდომარეობდა** უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალალონია.

**სხდომას ესწრებოდნენ:** გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, მაკა ლომაძე, შორენა ჭალაღიძე, კახაბერ ჯაიანი, ნუგზარ ბაჯელიძე, მამუკა ჯაში, ირაკლი გვარამია და მამუკა კოპალეიშვილი.

**სხდომას არ ესწრებოდა:** თორნიკე მჟავანაძე.

**აგრეთვე ესწრებოდნენ:** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

**მოსმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

**დღის წესრიგის პროექტი:**

1. განკარგულება  
საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ;
2. განკარგულება  
საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ;
3. სხვადასხვა.

**აზრი გამოთქვას:** კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 12;  
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

**დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:**

**1. განკარგულება**

საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ;

**2. განკარგულება**

საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

**1. განკარგულება**

საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ.

**მოსმინეს:**

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო „საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ“ განკარგულების პროექტი. ისაუბრა უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების განხორციელებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის და უსკოს წევრებისათვის საწვავის ხარჯების გამოყოფის შესახებ.

**აზრი გამოთქვას:**

მაკა ლომამემ და პარმენ ჯალაღონიამ.

მაკა ლომამე დაინტერესდა გრაფაში „ოლქის ხარჯები“ (გადაზიდვის ხარჯები) ასახულ რიცხვებში საუბარია საწვავის ლიტრზე თუ თანხებზე და ითხოვა დაზუსტება.

პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის შემდეგ ასახულ გრაფაში „ოლქის ხარჯები“ რიცხვებში იგულისხმება თანხები ლარებში და აღნიშნა, რომ ტექნიკურად იქნას გასწორებული და რიცხვების გვერდით აისახოს თანხა ლარებში.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ“ განკარგულების პროექტის სხდომაზე გამოთქმული (შესწორების) გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 12;  
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

**განკარგულება მიღებულია:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 07 ივნისის N4 დადგენილების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ჩატარების ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების განხორციელებისათვის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებისათვის გამოყოფილი იქნას საწვავის ხარჯი უსკოს თავმჯდომარის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე დადგენილი ლიმიტის ოდენობით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების განხორციელებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გამოყოფილი იქნას საწვავის ხარჯი შემდეგი ოდენობით:

№	ოლქის №	ოლქის დასახელება	ოლქის ხარჯები (გადაზიდვის ხარჯები)
1	79	ბათუმი	690 ლარი
2	80	ქედა	690 ლარი
3	81	ქობულეთი	690 ლარი
4	82	შუახევი	690 ლარი
5	83	ხელვაჩაური	690 ლარი
6	84	ხულო	690 ლარი
სულ			4140 ლარი

3. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოცემული იქნეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი, რომლითაც ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში მოხდება საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საწვავის ლიმიტის ოდენობის განსაზღვრა შესყიდვის მომენტისათვის ბაზარზე არსებული ფასის გათვალისწინებით.

4. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის ეკონომიკურმა სამსახურმა უზრუნველყოს ამ განკარგულების საფუძველზე უსკოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში საწვავის შესყიდვა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ტალონური სისტემით უსკოს წევრებზე და საოლქო საარჩევნო კომისიებზე გადაცემა.

5. საოლქო საარჩევნო კომისიებმა უზრუნველყონ მათთვის გადაცემული საწვავის მიზნობრივად გამოყენება და ხარჯვის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

7. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

## 2. განკარგულება.

საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

### მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა „საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი და კომისიას პუნქტობრივად გააცნო ყველა ის ცვლილება და დამატება რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტით.

### აზრი გამოთქვა:

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

#### განკარგულება მიღებულია:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 9 ივნისის №4 განკარგულებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

ა) გრაფაში „არაუგვიანეს 50-ე დღისა“ (19 აგვისტო პარასკევი) მე-3 და მე-4 პუნქტები ამოღებული იქნეს.

ბ) გრაფაში „არაუგვიანეს 46-ე დღისა“ (23 აგვისტო სამშაბათი) მე-2 პუნქტი ამოღებული იქნეს.

გ) გრაფის „არაუგვიანეს 37-ე დღისა“ (1 სექტემბერი ხუთშაბათი) შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის გრაფა „არაუადრეს 36-ე დღისა“ (2 სექტემბერი პარასკევი) და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

არა უადრეს 36-ე დღისა	2 სექტემბერი პარასკევი	საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი განისაზღვრება საარჩევნო კოდექსის 119-ე მუხლით დადგენილი წესით (საქართველოს საარჩევნო კოდექსი მუხლი 119, პუნქტი პირველი), (აჭარის ა.რ კანონი უმალლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 45 (საწყისი ვადა).
--------------------------	---------------------------	---

დ) გრაფაში „არაუგვიანეს 30-ე დღე“ (8 სექტემბერი ხუთშაბათი) მე-2, მე-3 და-4 პუნქტებში არსებული ჩანაწერი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. არჩევნებამდე 30 დღით ადრე განისაზღვრება საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომერი; (საქართველოს საარჩევნო კოდექსი 119-ე მუხლის პირველი პუნქტი), (აჭარის ა.რ კანონი უმალლესი საბჭოს არჩევნების შესახებ 45-ე მუხლი) (ბოლო ვადა)

3. უსკოსთვის პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ პარტიული სიის და მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენის ბოლო დღე. პარტიულ სიას უნდა ერთოდეს უმალლესი საბჭოს წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი და მისი ფოტოსურათი. თუ კანდიდატი იმავდროულად წარდგენილია მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, სააღრიცხვო ბარათთან და ფოტოსურათთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს 2 ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი მიღებიდან 2 დღის ვადაში უნდა გადაეცეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას; (აჭარის ა.რ კანონი უმალლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, 39-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები)

4. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ საქართველოს პარლამენტის წევრობის

კანდიდატს აძლევს შესაბამის მოწმობას“. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მე-40 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტები)

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალალონია

კომისიის მდივანი

სოფიო კახაძე